

ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევასაქართველოში

სოფიკო ბარბაქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სადაზღვევო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრისაკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

სოფიკო ბარბაქაძე

აბსტრაქტი

ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა აღმოცენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და შემდგომში განვითარდა და გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში, ზოგიერთ ქვეყანაში კი აღნიშნულმა დაზღვევამ სავალდებულო ფორმა მიიღო. რაც შეეხება საქართველოს, ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ჯერჯერობით ნაკლებადაა განვითარებული და შეიძლება ვთქვათ, რომ ახლა იკიდებს ფეხს.

ბოლო წლებში, მედიის საშუალებით ფართოდ განიხილება საექიმო შეცდომები, აგრეთვე, 2013 წელს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაინტერესდა სამედიცინო პერსონალის შეცდომებით და ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა სტატისტიკა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხულ ექიმთა ნაწილი 2013 წლამდე არ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული დაზღვევის შესახებ. 2013 წელს კი სადაზღვევო კომპანიებმა აქტიური რეკლამირება გაუწიეს ამ პროდუქტს, როგორც თბილისის, ასევე, რაიონების მასშტაბით. დღესდღეობით საქართველოში მოქმედი 14 სადაზღვევო კომანიიდან 6 მათგანი სთავაზობს ექიმებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, ესენია „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, „არდი ჯგუფი“, „უნისონი“, „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ „ალდაგი ბი სი აი“ და „აი სი ჯგუფი“.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმთა დიდი ნაწილი, ამა თუ იმ, მიზეზის გამო თავს იკავებს აღნიშნული დაზღვევით სარგებლობისაგან, გაირკვა, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ყველაზე მოთხოვნადია ქირურგებისა და

გინეკოლოგების მხრიდან და პოპულარული მზღვევებია „არდი ჯგუფი“ და „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

დაზღვევა: რისკის მართვის ერთ ერთი ფინანსური ინტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოწმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება.

საექიმო შეცდომა:ექიმის კეთილსინდისიერი დაბნეულობის შედეგად მიღებული ცდომილება მსჯელობებსა და მოქმედებებში.

მედიაციის სამსახური: დავებისრეგულირებისალტერნატიული ორგანო. მთავარიფუნქცია-სახელმწიფო სადაზღვევოპროგრამებისფარგლებში დაზღვეულიმოქალაქის უფლებების დაცვა.

Abstract

Medical malpractice insurance was founded in the United States and after that has been spread all around the world. In some countries this kind of insurance is obligatory. When it comes to Georgia medical malpractice insurance isn't too demanded but it's getting popular.

Last past years medical errors have been discussed by TV and Radio Media, also in 2013 year Label Health and Social Affairs of Georgia were interested in medical errors and published the statistics about it.

Our research shows that until 2013 years most of doctors didn't have any information about this kind of insurance. But in 2013 year Georgian insurance companies advertised this product as in

Tbilisi also in other regions. Nowadays, out of 14 Georgian insurance companies only 6 of them offers medical liability insurance: “GPI Holding”, “Ardi Group”, “Unison”, “Standard Insurance Georgia” „Adagi BCI” and “IC Group”.

Despite of lack of interest from doctors to be insured, research showed that medical liability insurance is popular among surgeons and gynecologists and famous insurance company are “GPI Holding” and “Ardi Group”.

Key Words:

Insurance is the equitable transfer of the risk of a loss, from one entity to another in exchange for payment.

A medical error is a preventable adverse effect of care, whether or not it is evident or harmful to the patient.

The Mediation Service - Regulation of alternative dispute resolution body. It was established to strengthen the patients’ internal justice system.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ბატონ თენგიზ ვერულავას, რომელმაც დახმარება გამიწია ყველა ჩემთვის საჭირო საკითხში და ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავად გამცა პასუხი.

აგრეთვე მადლობას ვუხდი იმ სადაზღვევო კომპანიებისა და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და ექიმებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩემს კვლევაში და უფრო მრავალფეროვანი გახადეს ჩემი თემა.